



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49. 49230277

თარიღი:27/01/2023

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 5

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ (დანართი თან ერთვის).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №26 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ანგარიში
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის
განკარგვის შესახებ

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით (მუხლი 67) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, გაუთვალისწინებელი გადახდების დასაფინანსებლად იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს.

აღნიშნულის გათვალისწინებით 2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა წლის დასაწყისისათვის განისაზღვრა 140 000 ლარის ოდენობით. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად სარეზერვო ფონდი დაკორექტირდა და განისაზღვრა 116 000 ლარით.

სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ხდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე თანხის რაოდენობისა და მიზნობრიობის მითითებით.

საანგარიშო პერიოდში, მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად თანხა გამოყოფილი იქნა სხვადასხვა დანიშნულებით. სულ საკასო ხარჯმა შეადგინა 41 252 ლარი.

წარმოგიდგენთ ხარჯის ჩამონათვალს:

№	თარიღი	ბრძანების №	ბრძანების საგანი	გამოყოფილი თანხა
1	31.03.2022	48.48.220907	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კონსტანტინე ქორქაშვილისათვის თანხის გამოყოფა	3700
2	18.04.2022	48482210831	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანებში კოპიტნარის დასახლებაში № 1 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის შეკეთებისათვის თანხის გამოყოფა	3399,81
3	24.05.2022	48482214429	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან სოფელ მუხიანში ბროწეულას დასახლებაში დაზიანებული საკანალიზაციო გადაქაჩი	6500

			სადგურის ტუმბო-აგრეგატის შექმნისათვის თანხის გამოყოფა	
4	06.06.2022	4848221571	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან შშმ პირთა სათემო ორგანიზაცია „ ჩვენი დიდი ოჯახი-სათვის “ თანხის გამოყოფა	2500
5	16.08.2022	4848222284	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში და სოფ. ხომულში დაზიანებული სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციისათვის თანხის გამოყოფა	6900
6	02.09.2022	4848222457	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გუმბრაში სასმელი წყლის ტუმბოს აგრეგატების შექმნისათვის თანხის გამოყოფა	3500
7	22.09.2022	4848222655	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. ხომულში დაზიანებული სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციისათვის თანხის გამოყოფა	13953
8	06.12.2022	4848223404	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიებიდან, შეიარაღებული მოქმედებების დროს უგზო-უკვლოდ დაკარგული სამხედრო პირის სოფელ გვიშტიბში მცხოვრები ხვიჩა დეკანოსიძისათვის თანხის გამოყოფა	800
			სულ ჯამი:	41252,81